ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

პავლე აბაიძე – კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი

ნელი ვარდიაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. გ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.03.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 024/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ლ-ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ლ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 21 მარტს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. გ-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. ლ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც სახურავის უნებართვოდ რეკონსტრუქციას შეეხებოდა, მიმართა ადვოკატ ნ. ლ-ს და შეუთანხმდა, რომ ადვოკატი დაიცავდა მის ინტერესებს სასამართლოს ყველა ინსტანციაში. ადვოკატსა და კლიენტს შორის წერილობითი ხელშეკრულება გაფორმდა სადაც, მხარეებად მ. გ და შპს ,,----" იყვნენ წარმოდგენილი. საჩივრის ავტორმა ადვოკატს 2016 წლის ივნისის თვეში გაუფორმა მინდობილობა და საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით ხელზე გადასცა 400 (ოთხასი) ლარი.

1.3 საჩივრის ავტორმა ადვოკატს თავისი ინტერესების დაცვა სთხოვა მეორე ადმინისტრაციულ საქმეზე, რომელიც უნებართვოდ საკუჭნაოს დანგრევას შეეხებოდა. ადვოკატი კლიენტს აცნობა, რომ დიდი

ალბათობით პირველ ინსტანციაში საქმეს წააგებდნენ, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს იმედი ჰქონდა. კლიენტმა ადვოკატს მოსთხოვა შპს ,,----" საბანკო ანგარიში. ადვოკატმა კლიენტს სატელეფონო შეტყობინების გზით მიაწოდა საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც საჩივრის ავტორმა 400 (ოთხასი) ლარი ჩარიცხა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს იყო ნ. ლ-ის პირადი ანგარიში. იმის გამო, რომ ადვოკატმა ხაშურის რაიონულ სასამართლოში ორივე პროცესი წააგო, კლიენტს უთხრა, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის მოგების იმედი ჰქონდა. ადვოკატი იცავდა კლიენტის ინტერესებს სააპელაციო სასამართლოში ისე, რომ დამატებითი თანხა ამისთვის არ მოუთხოვია.

1.4 2016 წლის 13 ივლისს საჩივრის ავტორს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა სააგენტომ უარი უთხრა დიპლომის აპოსტილით დამოწმებაზე, რის გამოც საჩივრის ავტორმა კვლავ ადვოკატ ნ. ლ-ს მიმართა დახმარებისთვის. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადაუხადა 50 (ორმოცდაათი) ლარი სარჩელის შესადგენად და სასამართლოში შეტანისთვის. საჩივრის ავტორი და ადვოკატი წინასწარ არ შეთანხმებულან აღნიშნულ საქმეზე საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების პირობებზე. სასამართლო პროცესის ჩანიშვნამდე, დიპლომის აღიარების წესი გამარტივდა და ადვოკატს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან გადმოეგზავნა საჩივრის ავტორის დამოწმებული დიპლომი. ამ მომსახურებაში ადვოკატმა კლიენტს 400 (ოთხასი) ლარი მოსთხოვა. საჩივრის ავტორმა ადვოკატს განუმარტა, რომ ამ თანხას ვერ გადაუხდიდა, რადგან დიპლომის აღიარების წესი გამარტივდა, სასამართლო პროცესი არ გამართულა და ადვოკატს დიპლომის აღიარებაში მონაწილეობა არ მიუღია, რაზეც ადვოკატმა აგრესიულად უპასუხა, რომ თუ საჩივრის ავტორი დიპლომის აღიარებისთვის 400 (ოთხასი) ლარს არ გადაუხდიდა, იგი შეწყვეტდა კლიენტის მომსახურებას დანარჩენ ორ ადმინისტრაციულ საქმეზე. საჩივრის ავტორმა ადვოკატს სარჩელის შედგენისთვის და სასამართლოში შეტანისთვის 150 (ასორმოცდაათი) ლარი შესთავაზა, რაზეც ადვოკატმა უარი განაცხადა. ადვოკატმა ყველანაირი ახსნა-განმარტების გარეშე შეწყვიტა კლიენტის მომსახურება.

1.5 საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ ადვოკატი თავისი მეგობრის და კლიენტის თ. ფ-ის ნომრიდან მას შეურაცხმყოფელ ტექსტებს უგზავნიდა, სადაც მოიხსენიებდა როგორც გაუნათლებელ და უზრდელ პიროვნებად.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. ლ-მ ეთიკის კომისიაში 2017 წლის 11 აპრილს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც მასთან მივიდა მ. გ და განაცხადა, რომ ჰყავდა ადვოკატი, რომელმაც უარი უთხრა მომსახურებაზე, რადგან მომსახურების საფასური არ გადაუხდია. მ. გ-მა სთხოვა ადვოკატ ნ. ლ-ს, რომ გაჰყოლოდა სასამართლო პროცესზე და თანხას მოგვიანებით გადაუხდიდა. ხაშურის რაიონულმა სასამართლომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. სასამართლოს გადაწყვეტილება ადვოკატმა ნ. ლ-მ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საჩივრის ავტორს 2000 (ორი ათასი) ლარიანი ჯარიმა მოუხსნა. აღნიშნულ საქმეში საჩივრის ავტორმა ადვოკატს ჰონორარის სახით 400 (ოთხასი) ლარი გადაუხადა.

2.2 საადვოკატო მომსახურების ჰონორარის გადახდასთან დაკავშირებით, ადვოკატმა განმარტა, რომ მან კლიენტს პირადი ნომერი მისწერა, ხოლო საჩივრის ავტორმა თავად გადაწყვიტა, რომ ადვოკატის პირად ანგარიშზე ჩაერიცხა თანხა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მ. გ-ს დიპლომების საქმეზეც მიმართა სასამართლოს. სანამ სასამართლო პროცესი გაიმართებოდა, ადვოკატმა შეიტყო, რომ დიპლომის დამოწმების საქმის წარმოება გამარტივდა და სასამართლოსთვის მიმართვა აღარ იყო საჭირო. ადვოკატმა ამის შესახებ აცნობა კლიენტს, რაზეც მ. გ-მა განუცხადა, რომ ადვოკატს მიემართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოსთვის, რადგან თავად სამოგზაუროდ იყო წასული.

2.4 ადვოკატმა მეორე ადმინისტრაციულ დავაზე N შეწყვიტა კლიენტის მომსახურება, რადგან მან არ გადაიხადა საადვოკატო მომსახურების საფასური.

2.5 ადვოკატმა განმარტა, რომ არასოდეს მიუყენებია სიტყვიერი შეურაცხყოფა კლიენტისთვის. ადვოკატისთვის უცნობია თუ რა მიმოწერა ჰქონდა მ. გ-ს თ. ფ-თან.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ნ. ლ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /ს/ნ /, სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 მ. გ-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 21 მარტს.

3.3 ადვოკატის მიერ სადავო ქმედება განხორციელდა 2016-2017 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32 მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ლ-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მისთვის გადახდილი საადვოკატო მომსახურების ჰონორარი შეიტანა პირად ანგარიშზე და არა იმ შპს-ს ანგარიშზე, რომელიც მითითებული იყო მხარედ საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში; ადვოკატმა კლიენტს დიპლომის აღიარების საქმეში მოსთხოვა 400 (ლარი), რაზეც წინასწარ არ იყვნენ შეთანხმებულნი და როდესაც კლიენტისგან ამ თანხის გადახდაზე უარი მიიღო, ადვოკატმა კლიენტს შეუწყვიტა საადვოკატო მომსახურება ორ საქმეზე, რომლებზეც ჰონორარი უკვე მიღებული ჰქონდა; ადვოკატი თავისი მეგობრის თ. ფ.-ს ნომრიდან საჩივრის ავტორს შეურაცხმყოფელ ტექსტებს უგზავნიდა. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა

დააზუსტა საჩივარი და განმარტა, რომ მას პრეტენზია აქვს ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ჰონორარის პირად ანგარიშზე შეტანისა და ადვოკატის მიერ ორ ადმინისტრაციულ საქმეზე მომსახურების შეწყვეტის გამო.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. ლ-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: ,,ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის"

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილი: ,,ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე..".

5.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით, გარიგება შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით დადებული, თუმცა ეთიკის კომისიის რეკომენდაციით მიზანშეწონილია წერილობით შედგეს შეთანხმება ადვოკატსა და კლიენტს შორის. წერილობითი შეთანხმება ადვოკატისთვის და კლიენტისთვის თანაბრად უპირატესია, რადგან კონკრეტულად ჩანს თუ რა იყო შეთანხმების საგანი და რა ოდენობის ჰონორარის გადახდაზე შეთანხმდნენ მხარეები. დავის შემთხვევაში, მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დადგინდეს, კლიენტს რა საკითხზე სურდა იურიდიული დახმარების მიღება და რა ოდენობის ჰონორარი უნდა გადაეხადა ადვოკატისთვის.

5.4 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის 066/10 გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ,, საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისთვის, ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი კონტროლი".

5.5 საპროცესო ეტაპზე საქმის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება 2016 წლის 15 ივნისს გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად ადვოკატს უნდა გაეწია კლიენტისთვის იურიდიული მომსახურება, რისთვისაც საადვოკატო მომსახურების საფასურად განსაზღვრული იყო 400 (ოთხასი) ლარი. საჩივრის ავტორმა გამოთქვა პრეტენზია, რომ ხელშეკრულება გააფორმა შპს-თან ,,-----", ხოლო საადვოკატო მომსახურების ჰონორარი ადვოკატმა პირად ანგარიშზე შეიტანა. აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატმა განმარტა, რომ მან კლიენტს მისცა პირადი ნომერი, ხოლო კლიენტმა თავად აირჩია თუ რომელ ანგარიშზე უნდა შეეტანა ადვოკატის ჰონორარი.

5.6 იმის დასადგენად თუ ვინ იყვნენ საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მხარეები და როგორ იყო ხელშეკრულებით მოწესრიგებული ადვოკატის მომსახურების ჰონორარის გადახდის წესი, საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის 2016 წლის 15 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება. მოცემული ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების მხარეები

არიან ერთის მხრივ მ. გ, როგორც ,,კლიენტი", და მეორეს მხრივ შპს ,,----" და ადვოკატი ნ. ლ. აქედან გამომდინარე ადვოკატი მოცემულ ხელშეკრულებაში არის მხარე. საპროცესო კოლეგია ასევე ყურადღებას აქცევს ხელშეკრულების 4.1 მუხლს, რომლის მიხედვითაც: ,,კლიენტი ადვოკატს უხდის იურიდიული მომსახურების საფასურს (ჰონორარს)". აღნიშნული ჩანაწერის გარდა ჰონორარის გადახდის საკითხთან და წესთან დაკავშირებით ხელშეკრულება სხვა მოწესრიგებას არ შეიცავს. შესაბამისად მხარეები იმთავითვე შეთანხმდნენ ხელშეკრულებით იმაზე, რომ კლიენტს ადვოკატისთვის უნდა გადაეხადა ჰონორარი. აღნიშნული შეთანხმება არ ეწინააღმდეგება კანონს და მომდინარეობს მხარეთა მიერ გამოხატული თავისუფალი ნებიდან. საჩივრის ავტორს ჰქონდა საშუალება გასცნობოდა ხელშეკრულების სრულ შინაარსს. სწორედ საჩივრის ავტორმა წარმოადგინა აღნიშნული ხელშეკრულება ეთიკის კომისიაში. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო, რომ კლიენტს იურიდიული მომსახურების საფასური უნდა გადაეხადა ადვოკატისთვის, ადვოკატს შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ მიეცა კლიენტისთვის პირადი ნომერი თანხის თავის ანგარიშზე შესატანად. შესაბამისად, აღნიშნულ ქმედებას საპროცესო კოლეგია ვერ მიიჩნევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების საწინააღმდეგოდ.

5.7 საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზია უკავშირდება ადვოკატის მიერ ორ ადმინისტრაციულ საქმეზე მომსახურების შეწყვეტის საფუძვლიანობას, რაზეც მხარეებს განსხვავებული პოზიციები აქვთ. საჩივრის ავტორის პოზიციით ადვოკატს მესამე ადმინისტრაციულ საქმეზე თავისი დიპლომების აღიარების საქმეში საადვოკატო მომსახურების გაწევა სთხოვა. ადვოკატმა მიმართა სასამართლოს კლიენტის დიპლომების აღიარების მოთხოვნით, რაშიც საჩივრის ავტორმა მას 50 (ორმოცდაათი) ლარი გადაუხადა. ვიდრე სასამართლო პროცესი გაიმართებოდა, დიპლომის აღიარების საქმის წარმოება გამარტივდა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა სააგენტომ სასამართლოს გარეშე აღიარა საჩივრის ავტორის დიპლომი. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნულ მომსახურებაში ადვოკატმა 400 (ოთხასი) ლარი მოითხოვა, რაც წინასწარ არ იყო კლიენტთან შეთანხმებული. საჩივრის ავტორმა ადვოკატს 150 (ას ორმოცდაათი) ლარი შესთავაზა 400 (ოთხასი) ლარის ნაცვლად, რაზეც ადვოკატმა უარი განაცხადა და შეუწყვიტა მომსახურება ორ ადმინისტრაციულ საქმეზე, რომელთა წარმოებისთვის საჩივრის ავტორმა ადვოკატს პირველ საქმეზე N ხელზე გადასცა, ხოლო მეორე საქმისთვის N ბანკის საშუალებით ჩაურიცხა ჰონორარი. აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატმა განმარტა, რომ ადმინისტრაციულ საქმეზე N მისი მონაწილეობით თბილისის სააპელაციო სასამართლომ კლიენტის საჩივარი დააკმაყოფილა და ამით დასრულდა მოცემულ საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევა, ხოლო ადმინისტრაციულ საქმეზე N საჩივრის ავტორმა შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარი არ გადაუხადა და ამიტომ შეწყვიტა მოცემულ საქმეზე მომსახურება.

5.8 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატისთვის გადახდილი, გადაუხდელი ან გადასახდელი ჰონორარის საკითხის გასარკვევად შეისწავლა მხარეთა მიერ წარმოდგენილი და სასამართლო საქმის მასალები. საქმის მასალების გამოკვლევის შედეგად საპროცესო კოლეგიისთვის უდავოა, რომ ადვოკატი ნ. ლ საჩივრის ავტორის ინტერესებს იცავდა სასამართლოს ორ სხვადასხვა საქმეზე (საქმე N და საქმე N), ხოლო ჰონორარის გადახდის ფაქტი ფიქსირდება მხოლოდ ერთხელ 2016 წლის 02 დეკემბერს საბანკო გადახდის გზით. მ. გ-ს საბანკო ამონაწერის მიხედვით, 2016 წლის 02 დეკემბერს ადვოკატ ნ.

ლ-ისთვის 400 (ოთხასი) ლარის გადარიცხვის დანიშნულება იყო საადვოკატო მომსახურება. სადავოა ზემოთაღნიშნული რომელი საქმის წარმოების მომსახურებისთვის გადაუხადა საჩივრის ავტორმა ადვოკატს თანხა საბანკო ჩარიცხვით.

5.9 საადვოკატო მომსახურების ჰონორარის გადახდასთან დაკავშირებით მხარეთა პოზიციები განსხვავებულია. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ხაშურის რაიონულ სასამართლოში და თბილისის სააპელაციო სასამართლოში N საქმის წარმოებისთვის ადვოკატს ხელზე გადასცა 400 (ოთხასი) ლარი, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოში N საქმის წარმოებისთვის ბანკის საშუალებით ჩაურიცხა ადვოკატს 400 (ოთხასი) ლარი. ადვოკატი უარყოფს თანხის ხელზე მიღებას და განმარტავს, რომ კლიენტმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში N საქმის წარმოებისთვის ბანკის საშუალებით ჩაურიცხა 400 (ოთხასი) ლარი, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოში N საქმის წარმოებისთვის ჰონორარი არ გადაუხადა. საჩივრის ავტორს საქმის საპროცესო ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებამდე ნებისმიერ დროს ჰქონდა შესაძლებლობა ეთიკის კომისიაში პირადად, ფოსტის ან ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით წარედგინა მტკიცებულებები. ადვოკატისათვის ჩარიცხული 400 (ოთხასი) ლარის გარდა, მეორე საქმისთვის დამატებით 400 (ოთხასი) ლარის გადახდა, ვერ დგინდება, ვინაიდან საჩივრის ავტორს საკუთარი ახსნა-განმარტების გარდა სხვა მტკიცებულება, რაც კომისიას მოცემული ფაქტის დადგენის შესაძლებლობას მისცემდა არ წარმოუდგენია.

5.10 საქმის მასალებიდან დგინდება, რომ ადვოკატის მონაწილეობით წარმოებულ სასამართლო საქმეზე ხაშურის რაიონულმა სასამართლომ 2016 წლის 08 დეკემბერს არ დააკმაყოფილა მ. გ-ს სარჩელი. ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ადვოკატმა გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში (საქმე N). აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 17 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 მარტის ცნობის მიხედვით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. ქ-ს 2017 წლის 15 მარტს განსახილველად დაეწერა მ. გ-ს სააპელაციო საჩივარი, წარმომადგენელი - ადვოკატი ნ. ლ, საქმე N. საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომში გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში (საქმე N), მიღებული იქნა 2016 წლის 08 დეკემბერს, საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისთვის თანხის ჩარიცხვიდან 6 დღის შემდეგ. საპროცესო კოლეგიას საპროცესო სხდომაზე საჩივრის ავტორმა განუმარტა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმეზე N, პირველ ინსტანციაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში საჩივრის ავტორს მომსახურებას უწევდა ადვოკატი კ. კ, რომელმაც სარჩელი 2016 წლის 07 სექტემბერს შეიტანა, მაგრამ ადვოკატი კ. კ იძულებული გახდა, რომ კლიენტის მომსახურება შეეწყვიტა და ამიტომ საჩივრის ავტორმა ამ საქმეზე თავისი ინტერესების დასაცავად ადვოკატ ნ. ლ-ს მიმართა. იქიდან გამომდინარე, რომ ზემოაღნიშნული ორი სასამართლო საქმის წარმოება პარალელურად მიმდინარეობდა საპროცესო კოლეგია ცალსახად ვერ ადგენს 2016 წლის 02 დეკემბერს საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისთვის საბანკო გადარიცხვა 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით რომელი საქმის წარმოებისთვის იყო განკუთვნილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სადავო საკითხზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია მხოლოდ ერთი საბანკო ქვითარი, ხოლო მხარეთა ახსნა-განმარტება ურთიერთსაწინააღმდეგოა, საპროცესო კოლეგია ვერ ემხრობა ცალსახად საჩივრის ავტორის ან

ადვოკატის პოზიციას მეორე საქმეზე საადვოკატო მომსახურების საზღაურის გადახდასთან დაკავშირებით.

5.11 იქიდან გამომდინარე, რომ ცალსახად ვერ დგინდება საადვოკატო მომსახურებისთვის სასამართლოს რომელი საქმის წარმოებისთვის გადაუხადა საჩივრის ავტორმა ადვოკატს ჰონორარი საბანკო ჩარიცხვის გზით, ხოლო საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისთვის თანხის ხელზე გადაცემის ფაქტი ვერ დადასტურდა, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე - ჰონორარის გადაუხდელობის გამო, ადვოკატი უფლებამოსილი იყო უარი ეთქვა საქმის წარმოებაზე. შესაბამისად, ადვოკატ ნ. ლ-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე და 33-ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილებით, ასევე ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–4 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N024/17 ადვოკატ ნ. ლ-ის მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნელი ვარდიაშვილი/